13342

ფასი ყველგან 1 ...

ეშმაკის ალამაური

№ 1 იუმორისტული ალმანახ...

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Тип. Шрома, для Алманаха.

ჭრიჭინა და ჭიანჭველა.

(მიბაძვა)

ცნობილი რიჟა მწერალი
რამდენი ხანი „წვალობდა",
სცემდა და სცემდა გაზეთებს
ვიდრე ზუბალოვ სწყალობდა.

უდარდელ მწერალს, ვერარამ
ვერ შეუხარა ულვაში,
ვიდრე მდიდართა წყალობა
სიუხვით ეწყო ხულაში.

Библиотека-Музей имени Н. Н. Грушевского

კისრამდი ჩაწვა პრესაში,
თავზეც გაზეთი ეფარა,
მაგრამ უეცრად საბრალოს
შავი დღე წამოეპარა:
შემოსწყრა კასა მდიდართა
და გაჰნქრენ დღენი ლხენისა,
მწერლური ჟინის მომკვლელნი
რედაქტორისა ჩვენისა,
როცა მას ყოველ სტამბაში
უსრულდებოდა წადილი,
ერთს დახურავდენ, სხვას ხსნიდა
ჯარიმაც იყო ადვილი;
როცა სისწრაფით გაზეთი
გაზეთსა ენაცვლებოდა
ფლანგავდა ქანქარს პრიჟინა,
ან კი რა ენაღვლებოდა?

დღეს დაღარიბდა მწერალი
პრესაზე გადანაგები,
საკუჭნაოში თამამად
დანავარდობენ თაგვები.
გაზეთს დაუჭანა ფურცლები
აზრით უფრორე გაძვირდა
არსით სჩანს ბედის ვარსკვლავი,
ცხოვრება ერთობ გასჭირდა.
დაღონებულმა პრიჟინამ
მიმართა ჭიანჭველასა
და ეუბნება: ,,კოწიავ!
შენი გვაზავას ლხენასა
შეხედე ჩემსა გასაჭირს,
გამათბე დამაპურეო,
სამხედრო წესის მოხსნამდე
შენს აზრებს მამსახურეო.''

ამის გამგონე ჭინჭველამ
შეჰკითხა პართენს წყნარადა:
— რას აკეთებდი, ძმობილო,
ზუბალოვებიის კარადა?
— რას ვაკეთებდი, ნათლი მამ?
ნუ მკითხავ ჩემო ძამია!..
იმ ფულებიდან განა შენ
მცირედი შეგიპამია?!
გაზეთებს ვცემდი, ვმწერლობდი,
ვრედაქტორობდი გულითა,
დავრბოდი გუბერნატორთან
მუდამ დღე სიხარულითა...
მესამე წელი გამრგვალდა
არ დამიზოგავს აჯა მე,
დღეს კი გამვარდა სინსილა,
მომიღე, რამე შაპამე,
ნუ გარისხდები, ნათლი ჯან,
მიშველე დამასახლკარე,
ჭუჩათ-მავლობა კარის-კარ
რაც განმიცდია მაკმარე.
ჩაფიქრდა დინჯი ჭინჭველა
და მოახსენა ტკბილადა:
— მოდი ძმობილო, ივარგებ
შენ ჩემ სულიერ შვილადა.
გადაეხვივნენ ერთმანეთს
დიდი ხნის უნახავები...
(გასტეხს ქვასაცა მაგარსა
იმათი რბილი თავები)

ეშმაკი.

საშემოდგომო სიმღერა.

—

ჩაყვითლებულა მიდამო,
დარი არ გვიდგას მზიანი,
ქარი სისინებს მთა-ველში,
კვნესის საზარელ ხმიანი.
შავ ღრუბელთ გროვამ დაფარა
ხსივები იმედიანი,
სადღაა ვარსკვლავთ ციმციმი...
ღამეა კაეშნიანი...
ცა სევდიანობს, ცა ტირის,
ცრემლებსა აფრქვევს არესა,
დაღვრემილს, გატიალებულს,
გაძარცვულს, მგლოვიარესა.
გადაკარგულა ბულბული,
ვერ გვასმენს მის ტკბილ ჰანგებსა,
გზა-მოედანი გახსნიათ
ჭილყვავთ, ყორნებს და სვავებსა!..
ზღვა კი ჰქუხს, ფაფარ-აყრილი,
შფოთავს, დუღს, ისვრის ქაფებსა,
მრისხანებს, ზღუდეთ სანგრევათ
გზავნის გოლიათ ტალღებსა!!

კ. გოგოლაძე.

ნაწუვეტები.

(ლექსი პროზათ).

I.

ზღაპარიც და სინამდვილეც.

იყო არარა... მაგრამ გახდა ის უველაფერი... ახ-მახი ვინმე, უსინათლო, გარუსხულ-შავი... მისებრ შავები ბევრნი იუვნენ, ებრძოდენ ურთ-ერთთ, სხვა რომ არ ჰქონდათ იარაღი, ფერჩხილით, კბილებით: ტანს უკაწრავდენ, თვალებს სთხრიდნენ, ენას აგლეჯდენ: ერთი მეორეს არ ინდობდა, არ იბრალებდა, არ იყო

ძმობა, სიყვარული; მეფობდა შიში, ძლიერთ წინაშე თავის დახრა, ორთოდა, კანკალი... ის გაბატონდა; ბევრი, ბევრი დაიმორჩილა!.. აი ამ დღიდან გაჩნდა ქვეყნად: მონა, ბატონი! ადრე კი... მაგრამ ბევრს იგი დრო არ კი ახსოვდა, გარდმოტეშა კი ედემზე-და დარჩენილიეო: „ღმერთი, კეთილი, განრისხდაო“... მაგრამ სტეფოდენ, მან ბოროტება იმ თავითვე დაჭეშო, დასაჯა და თავს ჭკადრებდა, რომ ჭიაზე შური ეძია?!. მხოლოთ მტერმა თვითვე შესთხზა ზღაპრული ხრიკი; დააკარგვინა ამით მავალთ გზა ჯეშმარიტი! მით ისარგებლა მან, ბოროტმა, შავმა, ახმახმა, დაიმორჩილა, დაიმონა მსგავსი მრავალი.. სიმართლის მოქმელი არა ერთხელ ჯვარზე გაკარა, ტეტრის კოტონზე დასთოკა, ასბრიალა... გარს შემოივლო ზღვეთაგან მტკიცე კედელი, სძულს მას სინათლე და აძულებს თავის მონებსაც! იეო არარა და ხელთ იგდო ეველაფერობა!..

II.

ლ ე გ ე ნ დ ა.

დამონებულთა კერამ იგი აღმოაცენა .. ეს მოხდა ღამით, ბნელი იეო ჯოჯოხეთური. ირგვლივ ეოველგან დაეხლართა მტერსა ქსელი ამპარტავნების, შურის, შეფლის, ჩაგვრის მონობის და, ვით ობობა, გესლიანი, ბაჯბაჯა მწერი, ბნელის კუთხიდგან უგუნურ მსხვერპლთ ის სდარაჯობდა. მსხვერპლი ურიცხვი აწყდებოდა გრძნეულ ბადესა! ისმოდა კვნესა, ბედის წყევლა, გმინვა, გოდება, მეორე მ ხრიდგან კი—ხარხარი, სიცილ-კისკისი! ეგ მსხვერპლთა ტანჯვას ობობები ეასუხს აძლევდენ... და აი ამ დროს ძლიერი ხმა მისი გაისმა: ის ჭქადაგობდა სიყვარულზე, თანაგრძნობაზე!.. ამპარტავნებას შეუფარდა თავის სიმდაბლე, შურს და სიავეს—სიგულწრფელე, სულით სიმაღლე, შეფლს—სიყვარული, თანაგრძნობა, ძმობა-ერთობა, ჩაგვრა-მონობას—მე ფება თანასწორობის!.. მაგრამ ვერ ასცდა ისიც ბადეს ობობებისას და დაიდვარა კიდევ სისხლი უმანკო მსხვერპლის!.. მისი სიტყვები... ღამის წყვდიადს, შავად ფერთა გაფლილს, აოფეარენ, თუმც არ სთმობდენ შეეთ სიყვარეს, და ანათებდენ შავს ჯურღმეფებს, ბურუსის ნაბრალთ! ზოგნი გადიქცენ ქვებათ, თვეფებათ, კეთილ ქანქრებათ; ანგარებისთვის ბევრი, ბევრი გაფლანგულ იქნა, ბევრიც—ჩამარხულ დედამიწის შავსა წიაღში!.. და დღეს სძებნიან: ჭეშეენ მიწას, ანგრევენ ზღვეთ, სთხრიან გვირაბებს, არხებს, ზღვის ძირთ, შავთა უფსკრულთა, მაგრამ სუფველს იპოვნიან? განა-და როდის?!.

III.

ი ე ს ვ ი.

ერთს შენობაში ბინადრობდა „თეორი“ და „შავი“. „შავი“ მრავალი ნაწილისგან იეო შემდგარი: ხელნი შრომობდნენ, ფეხნი ვლიდნენ, თვალნი ხედავდნენ, ყურნი ისმენდენ, კბილნი ფქვავდენ და მუცელი კი... მზარეულობდა, ეველასათვის საზრდოს გზავნიდა. თეორი არ ქმნიდა, მთელს შენობას კი განაგებდა! საიდგან? როგორ? რით? რა ზომით? რა უფლებებით? არ ვინ იცოდა, მაგრამ ეველა მას ჭმორჩილებდა!.. და აიტაცა ერთ დღეს „შავი“ რაღაც ხუსტურმა; ნაწილაკებიც ახმაურდენ, აღაშფოთეს... ხელთა შესწეეიტეს მუშობა, ფეხთ—სიარული, თვალთა—ხედვანი, ეურთა—სმენა, კბილებმა კი—ფქვა, მუცელს მასალა საზრდოსათეის გამოელია... იწყო შეენობამ რეეა, ნგრეა!.. შეწუხდა „თეთრი“, ერთთავ განრისხდა, მაგრამ მიხვდა, რომ იეო სუსტი! დაუწყო რჩევა, დაეეეებით ხვეწნა, მეფარა... ფეხებისა—ღოკვა, ხელთ—ამბორი, თვალებს—ალერსი, ეურებს—ჩურჩული, კბილებს—ხეხა და მუცელს—ზეფა!.. „ამეშავდითო, ამეშავდით“, ეეედრებოდა: „თქვენ იხეირეთ, მე კი ვტოვებ ბატონობასო! ამიერიდგან ჩემს ბრძანებას აღარ ისმენთო“... და განაახლეს ნაწილებმა კავშირი, შრომა, მხოლოთ „თეთრს“ ისევ ბატონობა მიანარჩუნეს!.. ეედარ შეიგნეს, უმისოთ თუ იხეირებდენ!!!.

IV.

ჩ ა ნ გ ზ ე.

ა) თითების მღერა.

ხელი ჩავკიდოთ ძმურად ერთმანეთს:
ჩაგრულნი ჩაგრულთ ვიამხანაგოთ,
ენდა დავშალოთ ძველი შენობა,
რომ სულ ახალი შემდეგ ავაგოთ!

ჯერ ეაძლურნი ვართ. გარშემო ბნელა,
მაგრამ წინ გვიძღვის ჩვენ განთიადი!
ძალას მოგვმატებს ცხოვრების დილა
და ჩაბარდება უფსკრულს წყვდიადი!..

ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს ძმურად:
ჩაგრულთ ჩაგრულნი ეიამხანაგოთ,
დავგმოთ, დავშალოთ ძველი ქვეყანა,
შემდეგ ახალი ჩვენი ავაგოთ!..

ბ) მოძახილი.

უგუნურება დიდხანს იმეფებს,
დიდხანს იქნება გარშემო ბნელი!
თქვენი გზა, სავსე დაბრკოლებებით,
სახიფათოა და მეტად ძნელი!

ნუ გვეცილებით სასაქოზე,
საიქიოზე მხოლოთ იზრუნეთ!..
თავი ანებეთ გიეურ ოცნებას,
გვისმინეთ რჩევა: „ბირი იბრუნეთ!

უგუნურება დიდხანს იმეფებს,
დიდხანს იქნება გარშემო ბნელი!
თქვენი გზა, სავსე დაბრკოლებებით,
სახიფათოა და მეტად ძნელი!“...

გ) სიმთა წკრიალი.

უგუნურებას ბოლო მოუვა,
წყვდიადს განსაზღვრავს მზისა ნათელი!

შეეკმნით სამსხვერპლოს, არა თქვენებურს,
მაზე დაგდნებით, როგორც სინთელი!..
ერთხელ დანთებულს ცეცხლისა კოცონს
ვერ დაანელებს ვედარაფერი!
ან შეგიქნებით ჩვენ თვით სინათლე,
ან — მხოლოთ ფერფლი და არაფერი!..
უგუნურებას ბოლო მოუვა,
წუდიადს გაანრობს მზისა სინათლე
და ქვეყნის ტრფობის საგნათ იქცევა:
მხოლოთ სიმართლე, მხოლოთ სიმართლე!..

ნ. ზომლეთელი.

გაზაფხული.

—

თეთრი ჩადრი გადაიძრო,
მწვანეს ისხამს არე-მარე,
ბუჩქის ძირად ტურფა ია
სდგას მალხაზი, მომლიმარე!

ხის ტოტიდან საამო ხმით
შვებით სავსე შაშვი გალობს,
და ჩიტუნა მომხიბლავათ
ჰაერს აპობს, დასრიალობს!

მთას მწვერვალი უმშვენდება,
და ნაკადულს ცელქი დენა,
მდელოც გულ-მკერდს ილამაზებს, —
ესწრაფება ცვარისკენა!

ჭერში ბუდე მერცხალს უცდის,
ბავშვი კიდევ ჭიკჭიკს მისას,
ნიავი ხის კოკრებს ჰკოცნის, —
ჯერ სარეცელს ფოთლებისას!

განთიადიც თვის მშვენებას
რომ ჩაეკრას უკვე სწვდება,
და მდინარე უფსკრულისკენ
ზამთრის ხსოვნას ეზიდება!

ბუნებამ კი, გაზაფხულის
კარებს ახლო მძლავრი ხელი,
რომ გააღოს და მით ყველას
დაუმშვენოს სამყოფელი!

მაგრამ მე რა?! გაზაფხულიც
სხვისია და არ მაქვს წილი,
ჩემთვის ერთი დარჩენილა
და ეს არის: კვლავ ბორკილი!..

რ. ლეჩხუმელი.

პატარა ფელეტონი.

რას ტრაბახობდენ ფულები?

ბევრი წანწალის შემდეგ, ერთი ბანკირის კასაში შეიყარენ ფულები და დაიწყეს კვეხნა:

„პა, პა, პა! რა ამბავში ვართ და! ამისთანა პატივი თავის დღეში არ გვქონია ხალხში! ხელმწიფესავით „კანვოით“ გვასეირნებენ! ჩვენი გულისათვის ბავშვებს იტაცებენ, სახრჩობელაზე მიდიან! ვინ რევოლიუცია, რის „სვაბოდა“: ახლა ჩვენი ეშხით ამზადებენ ბომბებს! პარტიებმაც კი შეგვიყვარეს! ინტერნაციონალისტები ვართ, მაგრამ „პატრიოტებიც“ გვეკურკურებიან! ხა, ხა ხა! რა სეირია და!“.

— ჩემი გულისათვის რევოლიუციონერმა რჯული გამოიცვალა და „პრავაკატორობა“ მიიღო! — აღტაცებით წამოიძახა **ასიათასთუმნიანმა** — აბა, რომელი მეფისტოფელი შემედრება, ერთი მითხარით?! მწერლებსა და კომპოზიტორებს რო ჭკუა ჰქონდეთ, ტრაგედიაშიც და ოპერაშიც მე უნდა გამომიყვანონ გმირათა!

— უკაცრავათ, მე უფრო ახლო ვარ ლიტერატურასთან! — ფეხი წამოყო ჩასივებულმა, შავშავმა **შაურიანმა** — სუ ჩემ სამღებროში არ შემოდიან რედაქტორები და ჟურნალისტები, სუ მე არ უღებავ „მოდა“-ვადასულ ტანისამოსებსა?

ამ დროს ხითხითა **„კატერინე“-ათთუმნიანმა** გულიანათ ჩაიკისკისა და სთქვა — მართალია არც ჟურნალისტები მიწუნებენ, მაგრამ ადვოკატებისთანა ძრიელ კი არავის უყვარვარ! ღმერთს გეფიცებით, უკანასკნელ „ეთიკას“ აგირავებდენ ჩემი გულისათვის...

კიდევ რაღაც უნდა დაემატებია, მაგრამ შლეიფიანმა **ხუთასმანეთიანმა** აღარ დააცალა და კრიჭაში ლწვდა — უკაცრავათ! ეგ მე ვიცი, ვისთვისაც გიჟდებიან ისინი მაგრამ ყველა ხო ეგრე ადვილი მისაწდომი არ არი, ყველას ხო ვერ გაუბედავენ მაჭანკალ-მაკლერების მიგზავნას! „კატარინე“-ქალს შეეშინდა — სხვა რამეებიც არ წამომაკეცოსო და ენა ჩაკმინდა.

— მე ექიმების „დუშკა“ ვარ! — დაიტრაბახა **სამმანათიანმა** — საცა მე არ დავიარები, ფეხსაც არა სდგამენ იმ სახლში!

— ჩემი „კავალრები“-ღვდლებიც ეგრე იქცევიან! — მიუგო მზე ქალა **მანათიანმა** — საიქიოში წამსვლელსაც კი მე უნდა ვყავდე ქელეხზე...

— მე კი სუ ინჟენერები მებედებიან! — წამოისროლა **ას თუმანიანმა**.

ეს სიტყვები ელდასავით მოხვდათ **ათას თუმნებსა** და გაკაპასებულნი მივარდნენ ას თუმნიანს — რას მიჰქარამ, რას მიედ-მოედები?! ინჯილრები შენ გაგიტოლდებიან?! მოტაცებით შეგვირთეს და შენზე წაუვათ თვალი?!

— იმდენი დღე გრძელობა მე, რამდენი მეც არ მიწუნებენ! აბა მარტო მნახონ! — მიახალა **ასთუმნიანმა** და დაცინვით შეეკითხა — რა ვქნა, რამდენი ქმრები გყავთ: ადმირალებიო, გენერლებიო, ინტენდანტებიო, პოლიციელებიო...რაღა სუ თქვენ გიტაცებენ?!

— შენ ჩვენ „კავარლებს“ ნუ ახსენებ!—მისწვდენ **ასი-ათასი თუმნები.**

— როგორ: თქვენიც არიან და ამათიცა?!— გაიოცეს ყველამა და სიცილ-ხარხარი აუტყდათ. ამ დროს მილლიონებმა დიდმნიშვნელოვანათ ჩაახველეს და წაიდუდუნეს—ჩვენ უფრო წარჩინებული „კავალრები“ გვყავს, მაგრამ თქვენსავით კი არ დავიწყებთ ყბედობასო!

კუთხეში მიკუნტულმა „გლეხუჟა“-კაპიკმა, რომელსაც საშინელი ოფლის სუნი ასდიოდა, მძიმეთ ამოიოხრა და თავი ჩაქინდრა—აბა ჩემი საცოდავი ტურტლიანი პატრონი რა ამათთან სახსენებელიაო! გაიფიქრა! იმან და ობოლი ცრემლი ჩამოაგდო თვალიდან.

ნ. აზიანი.

ნუ კვნესი, ძმაო, ნუ კვნესი.

—

გარიჟრაჟია, ლაჟვარდი
ცა ვარდისფერათ წითლდება,
მზე მოაცურებს ოქროს ნავს,
შავთვალა ღამე ფითრდება.

ყოველი არსი შვებას გრძნობს,
სტკბება, ნეტარებს გულითა
და ეგებება გარიჟრაჟს
ხმა-ტკბილი კრიმანჭულითა.

—

მხოლოთ შენ კვნესი, ჩაგრულო,
მძიმე უღელ ქვეშ მოხრილი,
ცალკე შიმშილი გაწუხებს,
ცალკე სულს გხუთავს ბორკილი.
კითხულობ: „ჩაგრულთ ცაზედა
როდისღა გარიჟრაჟდება?!“
მაგრამ პასუხი არ გესმის
და გულზე ცეცხლი გედება.

—

ნუ კვნესი, ძმაო, ნუ კვნესი,
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
და გათენდება შენთვისაც,
მზე გამოკრთება დიადი,
სულს დალევს შავი ცხოვრება,
გაიფანტება წყვდიადი!

ჩახრუხაძე.

ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი.

თანამედროვე მოტივები მის თხზულებებში.

20 მარტს შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთის ლიტერატურულ ცაზე ერთი უდიდესი და უმშვენიერესი ვარსკვლავი დაიბადა. ეს იყო ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი, რომელიც თუმცა დიდი ხანია მოსწყდა მის მიერ გაშუქებულ ლიტერატურულ ცას, მაგრამ საუკუნოთ წაუშლელი კვალი დასტოვა რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში.

ძნელი წარმოსადგენია მეორე ისეთი მწერალი, რომელსაც ისე ძლიერათ და სიმართლით გამოეხატოს თავისი თანამედროვე ცხოვრების უარყოფითი მხარეები, როგორც ეს გოგოლის გენიამ შესძლო. ამ დიდებულ მწერლის თხზულებები ნამდვილი უტყუარი ისტორიაა რუსეთის სოციალური ცხოვრებისა. მთელი ასი წლის განმავლობაში, რუსეთის ფეოდალურსა და დესპოტიურ ხანას არ ყოლია მეორე ასეთი გამომხატველი, როგორიც იყო გოგოლი. ყოველ მის თხზულებებში გამოხატული ტიპი დღესაც ნამდვილ ცოცხალ არსებას წარმოადგენს. მისი უდიდებულესი თხზულება „მკვდარი სულები“ («мертвыя души“) გასაკვირველის სინამდვილით გვიხატავენ რუსეთის ფეოდალურ ხანას, რომლის აღწერაში ის ნამდვილი ჰომეროსია.

მაგრამ ამ წერილის საგანი გოგოლის თხზულებათა გარჩევა როდია; ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მას, რაც დღესაც უკვდავია გოგოლის თხზულებებში, რასაც დღესაც დიდი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს და რაც ასეთ მნიშვნელობას არ დაკარგავს მანამდე, სანამ რუსეთის პოლიტიკური და სოციალური პირობები ძირ-ფესვიანათ არ შეიცვლება:

საზოგადო აზრით, გოგოლის თხზულებათა შორის უდიდეს ბრილიანტათ ითვლება „მკვდარი სუ-

ლები", მაგრამ თხზულებას თანამედროვე საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს. ბატონ-ყმობა, ფეოდალური განწყობილება, რაც ასე გენიალურათ აქვს ამ თხზულებაში დახატული ავტორს, დღეს უკვე არ არსებობს. ბატონ-ყმობა ჩაბარდა ისტორიას და მასთან გაყვა გაქნილ-გაიძვერა ჩიჩიკოვეებიც. ფეოდალიზმს თან გაყვა ყველა იმ თხზულებაში გამოყვანილი ტიპებიც. გოგოლის „მკვდრის სულები" დღეს მხოლოდ საისტორიო მუზეუმია, სადაც თქვენ დაინახავთ ბატონ-ყმობის ტიპიურ გმირებს. ვისაც რუსეთის ბატონ-ყმობის ისტორიის შესწავლა უნდა, ის უეჭველათ გოგოლის ამ მუზეუმში უნდა შევიდეს, ესე იგი ეს თხზულება უდა შეისწავლოს. მაგრამ ეს მნიშვნელობა მხოლოდ ისტორიულია.

სულ სხვაა მისი კომედია „რევიზორი". ეს თხზულება, ნამდვილათ, ჩვენ თანამედროვე ცხოვრებაზეა ზედ-გამოჭრილი. ეს სამოციოდე წლის წინათ დაწერილი სატირა არა თუ არ ჩამორჩა რუსეთის ცხოვრებას, არა თუ არ გადაეცა ისტორიულ მუზეუმს, როგორც გოგოლის თხზულებათა დიდი უმეტესობა, პირიქით იმისი თანამედროვე მნიშვნელობა დღითი დღე მატულობს. აიღეთ მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მისი მესვეურები, შეადარეთ გოგოლის კომედიის გმირებს. როცა ამ კომედიის გმირებს უყურებთ სცენაზე თქვენა გრძნობთ, რომ მათ მხოლოდ ტანისამოსი შემოძველებიათ; დღევანდელი ფორმის ნაცვლათ ისინი ატარებენ ნიკოლოზ პირველის დროის ფორმას. მათი ხასიათი, მისწრაფება, სულის კვეთება, საზოგადო იდეალები კი იგივე დარჩენილა, რაც გოგოლის დროს იყო. აქ ცვლილება მხოლოდ გარეგნულია. განა ჩვენი რეინბოტები, გურკოები, ფრედერიკსესები და სხვა ძლიერნი ამა ქვეყნისა იგივე გოგოლის გოროდნიჩები არ არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გოგოლის გოროდნიჩი წვრილმან ქრთამებს იღებდა, მაშინ როდესაც ეს ჩვენი დროის „გოროდნიჩები" ათასობითა და ასი ათასობით იღებენ. თუ გოგოლის გოროდნიჩმა უნტერ აფიცრის ცოლი გაროზგა და საქმეს მალავდა: არ გამიგონ და არ დამსაჯონ ასეთი სასტიკი მოქმედებისთვისო; თუ ის გულუბრყვილოთ თავს მართლულობდა: მე კი არ გამიროზგავს, მან თვითონ გაიროზგა თავიო. დღეს ჩვენ „გოროდნიჩებს" ასეთ გულ-უბრყვილობას ვერავინ უსაყვედურებს: ასეთი პირადობის დამცირება ‌ᲔᲐ ძალ-მომრეობა მათ სისტემათ გადაქნეს... გამოიცვალა მხოლოდ სახელი: გოროდნიჩების ნაცვლად დღეს გრადონაჩალნიკები, პოლიცმეისტერები, მაზრის უფროსები და პრისთავები არიან. აიღეთ ფოსტის მოხელეები, საავადმყოფოების უფროსები, მსაჯულები და სხვა დაწესებულებათა გამგენი. არც ერთ იმათში არაფერი პრინციპიალური ცვლილება არ მომხდარა ამ სამოციოდე წლის განმავლობაში. გოგოლს შემდეგ ისინი კიდევ უფრო გაიზარდენ, დახელოვნდენ, და მაშინდელი პატრიარქალური დროს შესაფერი ხასიათი დღევანდელ პირების მიხედვით შესცვალენ...

ხლესტაკოვი? ეს ხომ ჩვენი ცხოვრების ნამდვილი გმირი შეიქმნა. ამას ხომ დღეს ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხედავთ.. მეპორე დობჩინსკი და ბობჩინსკები, რომელიც გოგოლის დროს ადგილობრივი გაზეთის როლს ასრულებდენ, დღეს უფრო განვითარებულან, გაზრდილან, ერთობ დახელოვნებულან და გაზეთებში წერაც კი უსწავლიათ და გაუფართოებიათ თავის სასიქადულო „მოღვაწეობის" ასპარეზი...

ეს უკვდავი კომედია ცხადათ გვიმტკიცებს. რომ რუსეთის ცხოვრებას, ამ სამოციოდე წლის განმავლობაში არაფერი ნაბიჯი არ გადაუდგამს პროგრესის გზაზე; რომ ყოველი ის ბოროტება, რასაც გოგოლი ებრძოდა, არა თუ არ მოსპობილა, პირიქით გაზრდილა და განვითარებულა. ამიტომაც „რევიზორი" ნამდვილი თანამედროვე კომედიაა, რომელიც თავის დიადს მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ დაკარგავს და მხოლოდ მაშინ გადაეცემა ლიტერატურულ არხივს, როცა ეს ბოროტება მოისპობა.

დასასრულ ურიგო არ იქნება მკითხველის ყურადღება ერთ ისეთ მოვლენას მივაქციოთ გოგოლის ცხოვრებაში, რაც ჯერ, რამდენათ ვიცით, რუსეთის ლიტერატურას არ აღუნიშნავს. გოგოლის სიცოცხლე ერთი დიდი ტრაგედია იყო. ის გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ნიკოლოზ პირველის მკაცრი და აუტანელი რეჟიმის დროს როცა რუსეთის ხალხი ბატონ-ყმობის მძიმე უღელ ქვეშ კვნესოდა. მაგრამ გოგოლის ძარღვებში ჩქეფთა სისხლი ცხოვრების მოყვარული „жизнерадостый" მალოროსიისა; ამიტომაც პირველ მის ნაწარმოებებში სიცოცხლითა და იმედით სავსე იყვენ. გოგოლი უდიდესი პროტესტი იყო თანამედროვე წეს-წყობილებისა; მისი გენიალური სული თავ-გამოდებით ებრძოდა ბატონ-ყმობას და ყოველგვარ ძალ-მომრეობას. მას მაგრამ დესპოტურმა თავისი გაიტანა და გოგოლშიაც საშინელი ცვლილება მოხდა. მან თავისი მოღვაწეობის ბოლო ხანებში მომართა თავისი ქნარი დესპოტიზმის გასამართებლათ. თავისუფლებისთვის მებრძოლი გოგოლი ნიკოლოზ პირველის აუტანელი რეჟიმის საუკეთესო აპოლოგეტი შეიქნა. წაიკითხეთ მისი „წერილები მეგობრებთან" და თქვენ გაგაკვირვებთ ის სიძდაბლე, რომლამდეც დაეცა ეს გენიოსი მწერალი. როცა გოგოლის ასეთი ცვლილების ახსნას ვფიქრობთ, ჩვენ გვაგონდება ბ. ლეონიდ ანდრეევის „ჩემი წერილების"-ის (Мои записки) გმირის თავ-გადასავალი. ამ თხზულების უმთავესი გმირი, ახალგაზდა მეცნიერი, რომელსაც მამისა და ძმების მკვლელობა დასწამეს და საუკუნოთ კატორღა გადაუწყვიტეს, პირველ ხანებში ვერ შერიგებოდა ამ საშინელებას; ის დღე და ღამე თავს ატეხდა ციხის კედლები გაენგრია, გამოსულიყო და ქვეყნისთვის დაემტკიცებია თავისი უდანაშაულობა...მაგრამ ის უძლური იყო, ციხის კედლები კი მაგარი. უსამართლოთ დატყვევებულიც ძალა-უნებურად შეურიგდა თავის ბედს. ბოლოს ის იქამდე მივიდა, რომ თავის უგულო ჯალათებსაც

კი მართლება დაუწყო. ის ისე ეჩვევა ციხის რეჟიმს, რომ ამ რეჟიმის აპოლოგეტი ხდება და ყველას უმტკიცებს ციხეებისა და სატუსაღოების აუცელებელ საჭიროებას.

გოგოლსაც სწორეთ ასე დაემართა. ეს ლ. ანდრეევის გმირის ბედი ნამდვილად გოგოლის ბედია.

როგორ მივიდა გოგოლი ასეთ პოლიტიკურ სიკვდილამდე? სწორეთ ისე, როგორც ლ. ანდრეევის გმირი. გოგოლი ხედავდა, რომ რუსეთი იღუპებოდა, რომ ხალხის მეოთხმოცდაათე ნაწილი მაინც მონობის უღელ ქვეშ ძლივს კუთავდა. მაგრამ ის ვერ ხედავდა, მას ვერ მიეგნო იმ რეალური ძალისათვის, რომელსაც შეეძლო რუსეთის ხსნა.

რა უშველის ხალხს? რას შეუძლია მისი ხსნა? უპასუხოთ რჩებოდა ასეთი კითხვები მის გენიოსურ თავში... და მან ძალა-უნებურათ მიაპყრო თვალები ზეცას. მხოლოდ ეკლესიას, მხოლოდ რელიგიას შეუძლია ხალხის ხსნაო გადასწყვიტა მან და შესტოპა ასკეტიზმის სორევში. მან ხელი მიჰყო მოთმინებისა და სათნოების ქადაგებას და პირველი მაგალითი ამ მოთმინებისა თვით მისცა მითი, რომ თავი სიმშილით მოიკლა. რაკი ის ისეთ გზას დაადგა ხალხისა და ქვეყნის ხსნისათვის, რაკი მან თავის დევიზათ აღიარა: მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველიო, ადვილი მისახვედრია, რომ მას არსებული მთავრობისა და წესწყობილების მართლება უნდა დაეწყო.

გოგოლი ამ მხრით ძლიერა ჰგავს რუსეთის მეორე დიდებულ მწერალს ლევ ტოლსტოის. როგორც ერთმა ისე მეორემაც ვერ შენიშნა ის რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო რუსეთის ხსნა და ორთავემ ზეცად მიაპყრეს თვალი. მაგრამ მათში დიდი განსხვავებაა. მაშინ, როცა გოგოლი ასკეტიზმსა და არსებული წეს-წყობილების ქებას შეუდგა, ტოლსტოი ნამდვილი ანარქისტი შეიქნა; მან ერთიანათ უარყო, როგორც არსებულ ეკლესია, ისე არსებული წეს-წყობილებაც.

ძ ნ ა რ ს.

ელვა წარვსტაცე მრისხანე ზეცას,
მეხი დავიპყარ, ვიმონე ქარი,
ცხოველი გრძნობის ჩუხჩუხში ვხარშე
და ნადუღიდან გავკვართე ქნარი.
ბედ-შავთ ცრემლები ქნარსა ვასიმე,
მათივე გმინვის მიუძღვენ კილო,
მიმინოს ალღო, აზრი მზიანი
და გრძნობა დავრთე ბალ-საყვავილო.
ჰა, ქნარო, მკერდი, ჩაეკარ გულსა,
მოვვლოთ ქვეყანა: მთა, ბარი, ქედი,
სათანაგრძნობო და სამკურნალო
ვუმღეროთ ვისც სწვავს მტარვალი ბედი.

ბერშუელი.

კვირიდან კვირამდე.

მოხსენება თფილისიდან.

მომილოცავს, მკითხველო, მშვიდობით გადარჩენა! მაგრამ რაც უნდა იქნეს განა ჩვენ ყველაფერს შეჩვეული არ ვართ?

* * *

დღეს თფილისი თითქო გამოცოცხლდა, გაზაფხულის სითბოსთან ერთად!

უპირველეს ყოვლისა, თქვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ სიეზდს, რომელმაც, ჩვენი ქალაქის თავის სიტყვით „უნდა გააბედნიეროს რუსეთის სახელმწიფო“. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული სრულიად რუსეთის წყლის გაყვანის საქმის სიეზდი. რამდენიჩაილულის წყალი ჩაივლის ვიდრე ამათი მეოხებით რუსეთი, გაბედნიერდებოდეს კი არა, თფილისის ნაგვიანი ქუჩები მოირწყებოდეს?!..

* * *

ზუბალოვის სახელობის სახლს ეღირსა როგორც იქნა, განათება, მაგრამ როგორ გამოიყენებენ ნათელ შენობას ნამდვილ სინათლისათვის, ეს კიდევ მომავლის საქმეა. ჯერჯერობით, ორი არა სასიამოვნო ფაქტის აღნიშვნა გვიხდება. პირველი ისა, რომ სახლშითავს იყრის არა ის, ვისთვისაც ის დანიშნულია, ე. ი. ნამდვილი „ხალხი“. მეორე—15 მარტს მოგვიხდა გაგონება ისეთი სიტყვის, რომელიც მხოლოდ „მოკავშირეთა“ საჩაიეში თუა მოსალოდნელი. ჩვენ მოგახსენებთ ვიღაც ვაჟბატონის მიერ ებრაელთა დაცინვაზე.. დიახ, სახალხო სახლში მაინც არ უნდა ქონდეს ადგილი ასეთ სისულელეს, მაგრამ ვინ არის გამკითხავი!!

ამასთანავე, „დროები“-ს რეცენზენტს საჭიროა გააგებიოს ვინმემ, რომ მინამ არ გაიგებს რაზე სწერს, —უმჯობესია კალამი მოასვენო. თუ თქვენ ბრძანდებოდით აღნიშნულ დღეს ზუბალოვის სახლში და თუ ამასთან სმენა და მხედველობა არ გღალატობდათ, კი უნდა შეგენიშნათ, ვინ იყო აღშფოთებული ებრაულ დეკლამაციის კითხვის დროს, „ჭეშმარიტები“ თუ პირ-იქით ყველა ისინი, რომელნიც „არა ჭეშმარიტულათ“ აზროვნობენ? გაჩუმება კიდევ არ არის დიდი სირცხვილი, ხოლო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა კი სირცხვილზე მეტია.

* * *

მსმენელები გაიქცენ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ მიკეტა ავლაბრის სკოლა. მიზეზი? 30 მსმენელმა თავი დაანება სიარულს... ამის მიზეზი? გამოურკვეველია! რათ არის გამოურკვეველი? იმიტომ რომ გამორკვეული არაა.

ეშმაკის მოციქული.

მესტვირული.

(ნიგოითისათვის)

ეშმაკო ჯან! ჯოჯოხეთის
მეც მათხოვე ერთხელ სტვირი,
რომ მოგითხრა ჩვენი სოფლის
გლეხ-კაცების გასაჭირი.
რა გმეფდა რეაქცია
მუდამ მათრახს იქნევს „გზირი“,
მტერ-მოყვარეც უფრო ვიცან
და მიტომაც აღარ ვტირი.
„ზეკუცია“, ჯარიმები
„არესტებიც“ გახდა ხშირი
აღარაფრით გაირჩევა,
საქართველო და ციმბირი.
მემამულეებმა ღალა
გაგვიხადეს ერთობ ძვირი,
ბედი აქვთ და ბატონობენ
იმათ გაერიოს პირი.
მხოლოთ სოფლის გლეხ-კაცობას
რომ არა გვაქვს ერთი პირი
ამაზე ვარ გულდამწვარი
ამას ვჩივი, ამას ვტირი.
თუ რომ წინეთ დურმიშხანებს
„საქმე“ ჰქონდათ დამალული,
ღღეს არც უნდა დაკვირება
ცხადათ მოსჩანს დურმიშხნული.
ნასტარშინალ შტერაიამ
ბევრი ყლაპა სოფლის ფული
არ ზოგავდა ისე სჭამდა,
საქმე ჰქონდა გაწალდული.
და მწერალი, როგორც შეფერს,
ხელს უწყობდა ჭკუა რთული
ჩვენი სოფლის „საქმეები“
მან დასტოვა ჩახლართული...
(ღღევანდელი, თუ არ სჭარბობს
„კოპიოა“ მისი სრული!)
თავადი და მოურავი
ხშირად არის გადაკრული.
ღღეს იმათი დურმიშხნობა
აღარ არის დაფარული,
ვინ მტრობისთვის, ვინ ქანჭრისთვის
იგზავნება გაბაწრული.
თუ რომ გინდა მზის სინათლე
უნდა გქონდეს მათთვინ ფული.
ხუნხუზებსაც მოეწყინათ
ზოგ-ზოგს მათთან სიარული,
ფედერალებს აქაურებს
ბედი სწყალობთ გადავსწყვიტე:
ჯერ კარგად ყავთ რეაქცია
და ბელადი მათი ტიტე.
მათი საქმე საყოფს იღებს
და მუშაობს ციხის კილტე,
ბატონო „ნიგოითელო“
ხმაი რატომ ჩაიწყვიტე?

—ლელი.

ძმარი... ქალო! ა ქალო! გ..ამ..ი..ღე კარ..რ....რი.. **ბრრ**..ა ვუყოთ... ცოცო... ტ...ა ... **ბ**ა...გა...დავ...კარი..... **მ**ეტს აღარ **დ**ავლევ. ქალო... **გ**..**გ**..**გ**ამიღე... **თ**ორრრემ ჩა... **მ**ოვწყვეტ ზარს..., **გ**გ**ბ**ამიღ**ე**... კა **რ**...**რ**...**რ**ები.

ქუთათურ ეშმაკთა მეჯლისი.

(ლტენოგრაფიული ანგარიში)

(იხ. ალმანახი „სალამური“ № 2)

ბზვანელი რამოდენიმე წლის წინეთ სამტრედიის რაიონში ყოფილა მასწავლებლათ. ეს შეეხება იმ დროს, როდესაც ბათუმში ცნობილი „მოღვაწე“ **პალმი** თავის აშმორებულ Черноморскій вѣстникъ“-ს სცემდა. ბზვანელი პალმის „გაზეთ“-ში თანამშრომლობდა, სოფლიდან კორესპონდენციებს უმზადებდა და სამაგიეროთ «Черн. вѣст.»-კით სულიერად საზრდოობდა. ბოლოს ბზვანელმა აღნიშნული „გაზეთის“ აგენტობაც დაიწყო. რედაქციიდან დაიბარებდა რამოდენიმე ნომერს (მოთხოვნილების მიხედვით) და, ვინაიდან სოფლად ქანქარი ძნელი საშონელია, თავის მოსწავლეებს ავალებდა ყოველ-დღე ორორ-სამ-სამი **კვერცხი** მიეტანათ, და სამაგიეროთ „Черн. вѣст.“ წაეღოთ

კვერცხებით მოვაჭრე მასწავლებელი.

საკითხავათ და ზოგს სახვევათ. ამ წლიდანვე იწყება ბზვანელის უკუდო ეშმაკთა ბანაკში „მოღვაწეობის“ დაწყება რომ სათანადო მთავრობისადმი ცნობები მიეწოდებია (იხილე სახალხო დაბნელების ანგარიში გვერდი 735). ვინაიდან ბზვანელმა ნიჭი გამოიჩინა დაწყებულ ასპარეზზე, უკუდო ეშმაკებმა ის თავიანთ წრის წევრათ აირჩიეს და კიდევაც გადაიყვანეს სოფლიდან ქალაქში. ეს მოხდა 1907 წ. თავისთავად ცხადია, აქ მას მეტი საშოქმედო ასპარეზი გადაეშალა. ქალაში გადმოსვლისათანავე ბზვანელი მჭიდრო კავშირს იჭერს სახალ. დაბნელების განყ—ის მდივანთან და **დალალობას** იწყებს (იხილე თვითონ მდივანი). მოგეხსენებათ, ბ-ო, რომ სოფლად ბევრი მასწავლებელია, რომელთაც ჯამაგირი ნაპეტანი ბევრი ეძლევათ. ბევრს „პოსობიეც“ ერგება, როგორც ხითხითმა განაცხადა. მასწავლებლები კი ორივეზე უარს აცხადებენ, ვინაიდან აღარ იციან რა უქნან ამდენ ფულს. სახ. დაბნ. კასაში კი ფული ძნელი დასაფარავია ორფეხა ოაგვებისაგან*). რომ მოხელეები თაგვების მეოხებით პასუხის გებაში არ ჩავარდენ, ბზვანელი მდივანთან ერთად იწვევს სოფლებიდან ისეთს მასწავლებლებს, რომელთაც ქანქარი ერგებათ და არ მიაქვთ. ასეთ ურჩ მასწავლებლებს ბზვანელი ბ—შვილის სამკიტნოში (თეთრ ხიდს გაღმაა) შეიყვანს და დაარწმუნებს, რომ მისაღები ფულის ნახევარი მაინც წაიღოს, დანარჩენს ის (ბზვანელი) მდივანთან შეთანხმებით როგორმე მოაცილებს კასას. მოლაპარაკების დროს ბევრი პილატეს ცრემლებიც იხარჯება.

არიან, ბ-ბო, ისეთი მასწავლებლებიც, რომელნიც კარგ შემოსავლიან ადგილებზე და უფროს დანიშნულებაზე უარს აცხადებენ. ასეთ ჯურის

*) ეს ჯიში თაგვებისა დარვინის დროსაც ცნობილი იყო.

ეშმაკი.

მასწავლებლებსაც არ ტოვებენ ბზვანელი მდივანითურთ უყურადღებოთ.

თქვენ ამბობთ, ბ-ბო, რომ ბზვანელის უკანასკნელი კორესპონდენცია აზეფაციაა ზემოაღნიშნულიდან ნათლად სჩანს, რომ ბზვანელი ეშმაკთა მთავრობის ნამდვილი მოსამსახურეა. ქვევით მოკვანილი სიტყვები კიდევ მეტათ დაგარწმუნებთ ამმაში. „დროებაში“ ბზვანელმა წერილი მოათავსა არა იმიტომ, რომ თავი ვითომ და „წმინდანებში“ ჩარიცხოს, არამედ განზრახ იმ აზრით, 1) რომ უკუდო ეშმაკთა კორპორაციისათვის თავზარი დაეცა და დაერღვია, 2) რომ თვითმართველობის პრინციპი გაებათილებია, 3) კერძო პირებისათვის ჩირქი მოეცხო, 4) რომ თავისი საკუთარი კუდი დაემალა—უკუდოებისაგან, 5) რომ შემთხვევით ესარგებლა და სადმე გამგის ადგ..... და ვინ იცის რამდენი რამე ქონდა სახეში. მაგრამ არც ერთი ზემოთ აღნიშნული მუხლი მთავრობის მოქმედებას არა თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ პირდაპირ მის საკეთილდღეოთ არის გამოწვეული. აი რითი ხელმძღვანელობდა ბზვანელი თავის მოქმედებაში და თქვენ კი მისი „წმინდანობა“ მოგლანდებიათ. რომ წერილი განზრახულ სიყალბით იყო შედგენილი ეს ხომ ეშმაკ-მასწავლებელთა კორპორაციამაც დაამტკიცა "დროების“ მე-40 ნომერში.

მე კიდევ მეტს ვიტყვი: ბ-ნი ბზვანელი ეშმაკთა მთავრობისათვის დღეს პირდაპირ საჭირო კაცია. ის არა მარტო მასწავლებელ-კორესპოდენტ დალალია, არამედ უებარი ექიმიც. ბ ნებო! თქვენ იცით, თუ რამდენათ გავრცელებულია დღეს, ეგრედ წოდებული, ვენერიული სენი და უმთავრესად კი ერთი ვენერიულ სენთაგანი „სურდო“, რომელიც, მგონი, ჩვენი მეჯლისის ერთ წევრსაც უნდა სჭირდეს (მოპოლოვცევო ეშმაკი იღიმება). აი სწორეთ ასეთი სენით ავათმყოფთავის ის მისწრებაა. პირნათლადაც ასრულებს თავის მოვალეობას, ყოველგან და ყოველთვის. მოდით, ბ-ნებო, და გვისაყვედურეთ ასეთი ფრიად საჭირო ადამიანის ყოლა სახ. დაბნელ. განყოფილებაში. თქვენ მას არ იცნობდით, ბ.ბ. უკუდო ეშმაკნო აწი მაინც გეცოდინებათ ვინ არის ბზვანელი. (პრემიერ ეშმაკი სიტყვას ათავებს. ბარჯვნივ და ცენტრში ცხარე ტაშის ცემაა. ბელზებელი კრებას ხურავს. შემდეგი სხდომა დანიშნულია ნააღდგომევისათვის.

მგლოვიარე დედას.

(ვუძღვნი ქამიტოს).

ცამ გადიწმინდა, მზე იღიმება,
ყვავის ხეხილი, მწვანდება ველი,
ყველგან ჩუხჩუხებს ბუნების ძალა
საგაზაფხულო და სანატრელი!..

შენ კი, დამწვარო დედისა გულო,
რაღას მოგიტანს ეს გაზაფხული?
საგაზაფხულო შენი პაწია
დღეს შავს მიწას ყავს გულში ჩაკრული;
მოგწყვიტა იმან და თან წაიღო
შვება, სიამე და სიხარული!

ირგვლივ აძგერდა სიცოცხლის მაჯა,
აღიგზნო გრძნობა, ატოკდა ძალა,
ბულბულმა ნაზათ იწყო წკრიალი,
და ბაღში ვარდიც გიდაიშალა,
ყველგან სიამემ დაისადგურა,
და გაზაფხულმა ფრთები გაშალა!..

შენ კი, დამწვარო დედისა გულო,
რაღას მოგიტანს ეს გაზაფხული?
გულის ნაწყვეტი ნორჩი სიცოცხლე
შენი მიწას ყავს გულში ჩაკრული!
მოგწყვიტა იმან და თან წაიღო
შვება, სიამე და სიხარული!...
სახე მოგიჩანს საშემოდგომო,
მდუღარე ცრემლით დანიაღვრული...

ნ. ზომლეთელი

გურული სცენა.

გიტულა. გოგიავ! ჯამაგირიანი მამასახლისი კი მოგვაკერენ ზრუგზე, მგონია, ლანჩხუთელებს.

გოგია. რაცხა კია ჰო თუ ვარგა. ქობულეთელი ჩაქურაი თუ გეხარბება დღეის ტორს ჩიბათლებიზა მომელოცოს.

გიტულა. არ მოგესწრა იგი დღეი, ჩიბათში რა უნდა კუტავ ზეთსავით არის ყოლიფერი.

გოგია. არა ძამიავ მაგაზე არაა თვარა არც აქეთ დუღდა ნუგეშინია რეულიცია, გზას თუ ჩივი ჩვენ უწინ გავაბრაგეთ, მიწების გაძვირება უწინ ვფერხეთ, პაპრაგანდისტი ამდენი ხანია გზათ არ გვინახავს, სალდათებს ყურით მივათრევთ და გადასახადს ზურგით, აგი ერთია რომე ხანდისხანდაი აგი წუნკალაი ხუნხუზები კი უჩხიკინებენ, მარა აგი რა ჩვენი ბრალია, აგი იგენის ხელში მიზდღემჩი ყოფილა და ქე იქნება. თუ იმას მიჩივა, რომე გულით რეიზა არ გიყვარვარი რა ვიცი, დედა მიცხონდება, გულით ეგება ჩემს ეფიზოლასაც არ უყვარვარ მარა ფეხ აღმა როის დამიკიდია.

გიტულა. ბრევლი უნდა ფარა იმ გასახეთქებს?

გოგია. ტლიკვი ორი ათასი

გიტულა ქემაინც ვარგებული კაცი დარჩებოდეს.

გოგია. თითო გუდა კახურს, რომ ქთამში ხარჯავდენ, იგენის ვარესი მ·ინც არ იქნება კი ვიცი და სხვაი რა გითხრა. აგი აგია და პისტავის ქება რაფერ უნდა თქვას ცოდვილმა პირმა, თვარა კი უნდა ვარგოდეს ოჯახ·აშენებული.

გიტულა. რას ატყოფ ვითამ?

გოგია. კაცს თვალებში შეეტყობა ძმაო, მეორე რავა დედმამას მაიც არ გიჯირგალებს და აიც საქმეა.

გიტულა. ვაი დასტურ, ყოლიფერი კაი გაგახსენდა იგი მითხარი თუ მართალია ყველას ერთნაირათ ახთიებს გზის საკეთებელ ფულსო.

გოვია. ახთიებს და მეტი აფერი? აზნაური მაზნაური სასულერო წვალება თუ სახორციელო

ჩემთვის სულ ერთიაო. იგი კი არა და მამასახლისის ჯამაგირიც ზე მიაკვერა.

გიტულა. ააშენა ღმერთმა, მარა რათ გინდა, ერთი ვინმე ჩუუდურმიშხანებს და ვინ იცის მერე რა იქნება.

გოგია. უუუი ძამიავ, მგელს თუ ყორეის ინედი არ ქონდეს ძვალს არ გადაყლაპავს. ნახვამდის.

გიტულა. მშვიდობით გნახე.

შხანკოლა.

ქართველ პატრიოტ მემამულეებს.

—

რომ სოციალ-დემოკრატებს
ჭორი მოუგონოთ რამე
და მათ სახელს ჩირქი მოცხოთ,
ამას ცდილობთ დღე და ღამე.

რომ ხალხში მათი გაკვლენა
მთლათ ამღოფხვრათ, გენატრებათ...
და გამოგყავთ ქართველ ერის
და ქართული ენის მტრებათ.

მაგრამ მიკვირს, ამ პარტიამ
რომელს დააყენა ძალა
და ქართულათ ლაპარაკი
რომელ ქართველს აუკრძალა?..

ჩვენ, ქართველ ერს არ უარ ვყოფთ.
და თუ თქვენგან ვსდგებით შორა...
ხომ ქართველ ერს არც შეადგენთ
თქვენ, ორიოდ მუქთა-ხორა?!.

ქართველ ერათ ჩვენ იმ ხალხს ვთვლით,
ვინც რომ არის რიცხვ-მრავალი,
ვინც თვის შრომით სიმდიდრეს ჰქმნის,
თვით-კი რჩება ტყავ-გამძვრალი...

ჩვენ ამ ხალხზე კიდეც ვზრუნავთ.
თქვენ-კი ამ ხალხს სტაცებთ სარჩოს
და თან ჰყვირით თავ-მომწონეთ:
„საქართველოს გაუმარჯოს!!“.

როცა თქვენგან ამ ქართველ ერს
პირში სული აღარ რჩება,
ნეტავ გვითხრით, რაღას ნიშნავს
საქართველოს გამარჯვება?!!

საქართველო ჰქიან ადგილს,
საოცნებო ტურფა მხარეს,
სადაც ამდონ მიწა-წყლიდან
უწილადოთ ჩვენ დაგვყარეს.

საქართველოს გამარჯვებას
ვინაც გაითვალისწინებს,
იფიქრებს: მთა, მიწა, წყალი
გაიხარებს, გაიცინიბს.

ეს მიწა-წყლის გაცინებაც
ალბათ მათ დაუტკბობს გულებს,
რომლებიც საქართველოში
პატრონობენ დიდ მამულებს.

დაე, მთელს ამ თვალ-უწვდენელს
საქართველოს მიწა-წყალსა,
გაუმარჯოს, მაგრამ ნეტავ
რა მიეცხოს ხალხს საწყალსა!!.

იმ ხალხს, ვისაც გულით უყვარს
სამშობლო და ეს მიდამო,
მაგრამ თქვენ ხომ ყველგან ყვირით:
„მაგ მიწაზე ფეხს ნუ დგამო!!“

თქვენს ულვთობას როცა ვხედავთ,
ჩვენც მზათა ვართ გკითხოთ ერთი:
თქვენ არა ხართ, რომ ხმებს გვიყრით,
ჩვენ არ გვწამდეს თითქოს ღმერთი?!.

თქვენ-კი თვითონ თუ ის გრწამდესთ
ყველას შემქმნელ მამა ღმერთათ,
მაშინ ხომ ჩვენც მის შვილებათ
ჩავითვლებით თქვენთან ერთათ...

მამის ქონებაში შვილებს
ხომ წილი აქვსთ თანაბარი?.
მამა ღმერთის ქონებაც ხომ
არის მთლათ ეს მთა და ბარი?!!

და როცა ამ მთა და ბარში
წილს არ გვიდებთ თქვენთან ერთათ,
აქედან სჩანს, რომ თვითონ თქვენ
ღმერთი არ გწამთ მამა ღმერთათ!!.

მაგრამ თქვენ ყურს როდის უგდებთ
კანონიერ ამ ჩვენ კითხვებს!..
პასუხის წილ თქვენგან ვისმენთ
დაჟინებით შემდეგ სიტყვებს:

„ჩვენც ქართველნი, თქვენც ქართველნი,
მაშ რათ გვიმზერთ შუღლითაო,
ის-კი სხვაა, თუ სხვა ტომი
გტანჯავსთ მძიმე უღლითაო!!“

გვესმის, რა გვარ „ნანას“ გვიმღერთ
და ან აკვანს როგორც გვირწევთ;
სხვა ტომისთვის არ გვიმეტებთ;
„ჩვენ შეგჭამთო“—ალბათ გვირჩევთ...

ჩვენ-კი ვფიქრობთ, არ შეგვჭამოს
არც ძაღლმა და არც ტყის მხეცმა;
ერთი შეგვჭამს თუ მეორე—
ხომ ორივეს ჰქვიან შეჭმა?!

დიახ, დღეს ჩვენ რადგან ვცდილობთ
თავები არ შეგაჭამოთ,
„ქართველ ერის უარ-მყოფლებს“
თქვენ გვიწოდებთ ამის გამოთ.

ვითომც საქართველოც გვძულდეს
თავის ტურფა მთა და ბარით,
ამ ხმებსაც ჰყრით, მაგრამ სტყუით,
ჩვენ მას წიხლი როდის ვკარით?!

პირ იქით, ჩვენ რამდენათაც
საქართველო შევიყვარეთ,
თქვენ აგი საწყენათ დაგრჩათ;
ახლოსაც არ გაგვიკარეთ!..

ფონ-ტეფო.

---

*
* *

მოკლული გულით,
მოღლილი სულით,
დაობლებული
დაღონებული
ვიყავ მდუმარედ.
ბნელოდა გარედ...
მწარე ფიქრებით
გარემოცული.

—

არ დამეძინა,
სევდა მეფინა...
მიღრღნიდა გულსა
საკითხავს რთულსა,
გონებას კრულსა
წინ უყენებდა
და აზრს წყეულსა
ბნელიო, მოცულსა
არ ასვენებდა.

—

ნისლო!.. შორს, ჩემგან
ყოველთვის...ყველგან...
გასწი ეს ქედი გარდაიარე
თორემ იმედი დამისამარე

—

მზევ, ნეტარების,
ბედნიერების...
სიხარულისა.
ვნებულ გულისა.
მალამოვ წყლულის
მზევ გაზაფხულის
ისმინე რამე დაჩაგრულისა.

—

გეყოს, მაკმარე
რაც გამამწარე,
მომფინე შუქი
შენი მსუბუქი
შენი კვნესამე,
მინათე ღამე
მფინე სიამე
სიყვარულისა.

გ. ქუჩიშვილი.

მოღვაწეობა.

—

დიდი რამეა „მოღვაწეობა“ და მით უმეტეს, როცა ის საკუთარ მიმართულია ერის და ხალხის საკეთილდღეოთ. დიდ არს მოღვაწეობა, ხოლო უუდიდეს „მოღვაწეობა“ ქართ. დრ. საზოგადოებისა. არსად, არც ერთ ერის ცხოვრებაში ისე თვალსაჩინოთ თავის მოღვაწეობის კვალი არ დაუმჩნეფია როგორც კერძო მოღვაწეთ ისე საზოგადოებას, როგორც ეს ქართ. დრამ. საზოგადოებამ. დიდ და უდიდეს კვალს სტოვებს ის ქართველი ერის ცხოვრებაში ამ სეზონის განმავლობაში. შეუძლებელია დაწვრილებით აღნუსხოს მოღვაწეობა ამა საზოგადოებისა, რომელი ერთი უნდა ჩამოსთვალოს ცოდვილმა პირმა: მთელი სეზონის განმავლობაში საარქივო პიესების სცენაზე გამოტანა, საუკეთესო არტისტების დასიდან გასვლა (როგორც ბ-ნი ა. იმედაშვილი და სხვანი). სტატისტების „გაარტისტება“ (ეს ფრიად ღირს შესანიშნავი მოვლენაა ქართველი ერის ცხოვრებაში) ანარქია 'შინ და გარეთ, არტისტების საუცხოვო თამაში. (იქნებ ეს სიცრუეთ ჩამომართონ, დასამტკიცებლათ მოვიყვან 18 მარტის წარმოდგენას. ამ უკულმართ საღამოს წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი“ 5 მოქმ. დრამა, ძველი, მარა ეფექტიანი. ჰოი! საკვირველებავ რა ხდებოდა სცენაზე! არტისტები ისე შევიდენ როლში, დაავიწყდათ, რომ ისინი სცენაზე იყვენ, ეგონათ ჯერ ისევ ბავშვები ვართ, სკოლაში ვზივართო და ერთი მეორეს „პადსკაზობა“ დაუწყეს. როცა ერთს დაებმოდა ენა და სიმწრის ოფლი დაასხამდა, მეორე წაეშველებოდა და უყვიროდა. ხშირათ ისმოდა გუნიას „ჩააქრეთ“ და გამყრელიძის „აქეთ წადი, იქით წადი“. სუფლიორს მეტი ყვირილისაგან გული წაუვიდა! ისე საუცხოვოთ ჩაატარეს პიესა, რომ სცენაში წასვლისას ბევრმა, დამსწრეთაგანმა ვალერიანის წვეთები 'იიღო. საუცხოვოთ თამაშობდენ „გაარტისტებული“ სტატისტებიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხშირათ გზა ერეოდათ და ერთი მეორეს ეჯახებოდენ). ორი ათას მანეთამდე ვალის შეძენა, სეზონის განმავლობაში და სხვა მრავალი. რით აიხსნება ასეთი თვალსაჩინო ღვაწლი ამა საზოგადოებისა? მხოლოდ და მხოლოდ მით, რომ თვითოეული წევრი ამა საზოგადოების გამგეობისა, სავსებით გამსჭვალულია ქართველი ერის სიყვარულით და მთელი თავისი არსებით, იღწვის მის კულტურული აღორძინებისთვის, თავდადებით ემსახურება საზოგადოებას. ჩვენ ვერას ვიტყვით ყველა წევრებზე, მხოლოდ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ მხრით ბ-ნ ნანობაშვილის ღვაწლი ფასდადებულია. ეს აშკარათ დაამტკიცა მან 13 მარტის წარმოდგენაზე. ბ ნ ნანობაშვილს თურმე არც ცხადში და არც სიზმარში მოსვენებას არ აძლევდა ის, რომ გაზეთი „ჩვენი საქმე“ დროებით დაიხურა. (აბა რის ქართველია, რომ ასეთი სამწუხარო ამბავი არ სწყენოდა) ეს მოსვენებას არ აძლევდა თურმე იმიტომ, რომ ამ გაზეთის რედაქციას თეატრის ბილეთი შერჩათ და რედაქციის წევრები კვლავ განაგრძობდენ თეატრში სიარულს. (როგორც ამბობენ ამ გარემოებას გამოუწვევია ის, რომ საზოგადოებას 2000 მანათი დაზღვევია ვალი) რომ თავიდან აეშორებია საზოგადოებისთვის კვლავ მოსალოდნელი ზარალი, ბ-ნმა ნანობაშვილმა გადასწყვიტა როგორც იქნებოდა ხელში ჩაეგდო ეს ბილეთები. ამ აზრის სრულეში მოსაყვანათ მან შემდეგ ხერხს მიმართა: დაავალა თავის ქვეშევრდომ ბ-ნ იორდანოვს გამოერთმია ბილეთები. იორდანოვმაც, როგორც ერთგულმა

ქვეშევრდომმა გამოართვა ბილეთები რედაქციის წევრთ, და თან მოახსენა: „რადგან ბილეთები დაძველდა, მოგვეცით და ახლებს მოგცემთო“ (საბარალო, რათ დასჭირდა ნეტა ასეთი ტყუილები, განა ისე არ დაუბრუნებდენ?) შემდეგ წარუდგინა ბ-ნ ნანობაშვილს და დიდის ამბით დახია, ამ სიტყვებით: „გაზეთი არ არის და ბილეთიცარ უნდა გქონდეთო.“ ეს ფაქტი აშკარა მაჩვენებელია იმისი, თუ რამდენად დიდ არს ღვაწლი დრამ. საზ. გამგეობის წევრთა საზოგადოთ და კერძოთ ბ-ნ ნანობაშვილისა. მხოლოდ გვაკვირვებს ერთი რამ: რატომ არ ფრათ აგდებს ბ-ნი ნანობაშვილი, რომ თეატრში უბილეთოთ მთელი არმია დადის და ხანდისხან შესასვლელ კარებთან „ქანქროზიასაც“ თამაშობენ?! მაგრამ, ალბათ ეს იმდენათ თვალ-საჩინო და საზარალო არ არის საზოგადოებისთვის და კიდეც იმიტომ არ მიუქცევიათ ყურადღება.

აი მოკლეთ ქართ. დრ. საზოგადოების მოღვაწეობის ანგარიში. ბ-ნ ნანობაშვილის მაგალითი მისაბაძია და ეჭვი არაა სხვა წევრებიც მიბაძვენ. გვიკვირს მხოლოდ ერთი რამ: რატომ ქ-ნმა იავორსკაიამ და სხვებმა ასე არ იწყინეს გაზეთ „ჩვენი საქმე“-ს დახურვა?! მარა ქართველის გული სხვაა.

არა მოღვაწე.

პროვინციიდან.

ლანჩხუთი. საერთო კულტურულ ამაღორძინებელ მიმდინარეობას არც ეს დაბა ჩამორჩა. მიმდინარე წლის თებერვლის 33 ადგილობრივი ინტელიგენცია შეიკრიბა ლევან უხუს ქუჩაზე. კრების ინიციატორებმა შეკრებილთ ამცნეს მოწვევის მიზეზი. შეუდგენ დღიურ წეს-რიგის გამომუშავებას; დიდი მიხლა-მოხლისა და შეხეთქების შემდეგ პირველ კითხვად დასმული იქნა შემდეგი საკითხი: განახლება ყოველ კვირეულ ჟურნალ „ფაიკისა“, რომელიც გამოდიოდა სიომკას რედაქტორობით. მეორეი: წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსება. პირველმა საკითხმა დიდი აყალ-მაყალი გამოიწვია: მართალია, პრინციპიალურათ ჟურნალის გამოცემა ერთხმად გადაწყდა, მარა სადაოთ შეიქნა ის გარემოება, თუ როგორი მიმართულება ქონოდა ჟურნალს. მომავალ თანამშრომელთა ერთი ფრაქცია „იესისტებათ“ წოდებული ამტკიცებდა, რომ უკეთესი იქნება თუ „ბლაგოროდო ტრილისტას“ და „ბანჩოკის“ იდეის გავრცელებას შევუწყობთო ხელს. მეორე ფრაქცია—პავლისტებათ მონათლული, ბაქარას ამჯობინებდა, მესამე კი—სარკისისტები—„პრიმირიანცად“ გამოდიოდენ და ამასთანავე „ფრაპის“ უპირატესობასაც იცავდენ. ბოლოს როგორც იქნა გამარჯვება უკანასკნელ მიმდინარეობას დარჩა. ჟურნალი მალე იწყებს გამოსვლას. თანამშრომლები აუარებელია, სიასაც მალე მოგაწვდით.

მეორე საკითხიც სასურველათ გადაწყდა: განყოფილება დაარსდა და წევრათ ჩაეწერა 0001 სული განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა.

— ადგილობრივმა ინტელიგენციამ სულ ეხლა მოიხსნა ტრაური კოტე უტურგაურის გადაყვანის გამო გაკეთებული. საქ. სასწავლებლის მოწაფეებმასწავლებლები ჯერაც ატარებენ.

ეშმაკუნა.

სიმღერა.

(მიბაძვა)

ერთი კაცი მეცა ვარ
შავსა წრეში ვწერივარ,
ზესტაფონის სადგურზე
სრული ბრძანებელი ვარ.

ხელქვეითთ, გაყრა-ტუქსვას
თაობიდგან ვჩვევივარ,
სინდისს თავს არ მოვუხრი
ან რა მისი ფერი ვარ.

ვლოთობ და ვკარტოენიკობ
ხან ვით გიჟი, ხელი ვარ,
თეთრ ბალანს შავათ ვღებავ
თავსა არ უჯერივარ.

თუმც დავრანცხე პოეზდი
არვის დავუჭერივარ,
თუ ბრალს სხვებს ვერ დავადებ
მაშ რისი ოხერი ვარ?

ერთხელ თურმე ქითაბში
ეშმაკს ჩაუწერივარ,
მაგრამ ისიც დახურეს
ახლა ბედნიერი ვარ

შხანკოლა.

*
* *

ღრუბელთ ძაძი ცის გუმბათ ქვეშ
დაიშალა,
გაზაფხულის ჭრელი კაბა
გაიშალა!

მინდორ ველი საპატარძლოთ
მოიკაზმა,
სასიფხიზლო ცით ესხურა
აიაზმა!

ფოთოლ-ბალახს ნელი სიო
მიეტია
და ბულბულმაც შემოსძახა:
„ტია ტია“!

სალამურმაც მას თვისი ხმა
შეუერთა:
სიტკბოება და სინაზე
გაიღმერთა!

ამის მსმენი, ჩანგიც გრძნობით
აწკრიალდა!
სევდა-ნაღველს და კაეშანს
გაუძალდა...

კაეშანი!.. ამ გრძნეულმა
ფრთა გაშალა
და მყის ჩანგზე სიმთ სიმწყობრე
დაიშალა!

მაინც ვცადე: კვლავ შევეხე
სიმებს ხელით!
ხმა მოისმა სავსე სევდით
და ნაღველით!
არ სიამობს სევდიანი
ჩემი გული!
რას მიკეთებს ბუნებაში
გაზაფხული,
როს თავს მაწევს, სულს მიხუთავს
მაჯლაჯუნა?
ჩემი მაჯა და ჩანგიც მან
მოადუნა!..

ნ. ზომლეთელი.

ზოგიერთ პოეტ-ბგოსანთა საყურადღებო.

(ქვემოთ მოყვანილი ლექსი გასწორებულია ეშმაკის მიერ და რაიცა არ ეთანხმებოდა უმთავრესად საღ გონებას და აგრეთვე ზნეობრივ-ადმინისტრატიულ ცენზურას, აღნიშნულია მხოლოდ მრავალ-მნიშვნელოვანი წერტილებით).

მტარვალს.

არ . . . . . .
. . . . . დამეწერა . . . . ?!
. . . . . .
ის . . . . . სჯობდა!?!
. . . . . ასეთი
. . . ლექსის . . . . . .
. . . . . .
წერასა . . . . . ?!
. . . . . აღარც
. . . . . მე . . . . . .
მარგებს . . . . . .
. . . . . არაფერს?..
ვრეც . . . . . .
. . . . . სხვას . .
შემატებს . . . . . .
. . . . . ვერასა?!

ნიკოლოოზ თავბუკაძე.

ლეჩხუმელ მელას.

მიკვირს რატომ ასე აგიშალათ ნერვები „სალამურის" 1-ლ №-ში, თქვენ შესახებ მოთავსებულმა ლექსმა და სურათმა,,ლეჩხუმელი მელა''?! თქვენ აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. და ჩემზე მოგაქვთ იერიში, თითქო ამ ლექსის ავტორი ,,ლ'' მე ვიყო.. მე ვაცხადებ, რომ ,,ლეჩხუმელი მელას'' ავტორი მე არა ვარ, რასაც იმედია რედაქციაც დაამოწმებს*) მაგრამ ეს არაფერი. მე მაკვირებს მხოლოთ ერთი რამ თქვენი აღშფოთება! ეს თქვენ თავის დღეში არ გჩვევიათ, არასოდეს არ შემკრთალხართ არავითარ ცილის წამებისა და არა ადამიანურ ყოფაქცევის წინაშე და ეხლა რამ გაგაწიწმატათ ბ. ,,მელავ?''?! განა თქვენ და თქვენი თანამეგვამენი არა ბრძანდებით იმ ცაზიზღარ ცილის მწამებელი და ჭორის გამრცელებელი. რომლითაც ჩირქს სცხებთ ყოვლათ პატიოსანს და თავდადებულ პირებს? ბარემ სთქვით ხმა-მაღლა თუ კი ოდნავ მაინც გაქვსთ სიმართლე. რაც შეეხება თქვენს გოგრას ,,მელას'' გვამზე დასვენებულს, ეს სამწუხაროთ ხელოვნურია, თორემ ბუნებრივათ რომ იყოს, სრული ჭეშმარიტება იქნებოდა.

კ. ალხაზოვი.

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ,,ლეჩხუმელი მელა''-ს ავტორი კ. ალხაზოვი არ არის.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულ ალმანახ „სალამურის'' მეორე ნომერში მოთავსებულია წერილი ნიგოითიდან ,,სოფელის'' ფსევდონიმით, რომელსაც თავის ლექსი მხოლოთ ერთს ჭორებზედ აქვს შეთხზული, გთხოვთ უმორჩილესათ თქვენი ალმანახის შემწეობით აიხადოს პირ-ბადე ,,სოფელმა და გამომყვეს სამედიატორო სამართალში. პასუხს ველი ათ დღეში დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა. მედიატორებათ ჩემის მხრივ ვასახელებ №№, №№.

ნიგოითის სადგურის უფროსი კირილე დიდიძე.

ეშმაკის სალამურის ფოსტა.

მცხეთა. კვიჟღარას. საზოგადოთ ასეთი თქმულება დადის ხალხში მცხეთელი ვაჭრების შესახებ: „ერთი მცხეთელი ვაჭარი თურმე რწყილს ატყავებდა, ეს მეორემ დაინახა და მიაძახა: კაცო რა ამბავია მაგოდენა ქონს რო აყოლებო".

თქვენ ჩახავას ამბავი გაგიგერებიათ.

ბორჯომი. კრავს. თქვენს თხოვთ ეშმაკს: ჩემი ლექსის («ქარიშხალი») ღირსება-ნაკლულევანება მაცნობეთო. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ეშმაკს არ ძალუძს თქვენი თხოვნის ასრულება, ვინაიდან ღირსება თქვენს ლექსში არ მოიპოვება, ხოლო ნაკლულოვანებათა აღნუსხვა არ შეუძლია ადგილის სიმცირის გამო.

ბორი. ტალ-კვესს. თქვენ გეტყობათ ჯერ ერთი დრამა არ დაგიწერიათ და ეს მესამე უხეირო კორესპონდენციას აგზავნით. თქვე დალოცვილო, წერას სწავლა არ უნდა?

Ე 934 ს
1909

აზეფი იცინის რომ კითხულობს თავის ამბებს.

ამ დღეებში გამოვა ღია ბარათები
ო. ი. შლინგისა.
„კავკასიის ტიპები"
ბარათების საწყობი ს. ი. ბიხოვის ლიტოგრაფიაში, გოლოვინის პროსპ. სახლი ოქოევისა.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „ზროშა" რუსის ქ. № 3.

გამომცემელი მ. ქალანდაძე.